ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2018	31/12/2017
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	320207	128028
სავაჭრო მოთხოვნები	0	0
გადახდილი ავანსები	0	0
მარაგები	372686	95588
მზა პროდუქცია	372471	82130
სხვა	215	13458
საინვესტიციო ქონება	515225	502578
სხვა მიმდინარე აქტივები	55376	54898
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	0	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	1263494	781092
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	0
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	813294	600892
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	450000	180000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	1263294	780892
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	200	200
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	0	0
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა რეზერვები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	200	200
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1263494	781092

საქმიანობის შედეგები	
ნეტო ამონაგები	7459194
საქონლის გაყიდვიდან	7413205
მომსახურების გაწევიდან	45989
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0
სხვა	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-6325602
საწყისი მარაგები	-95588
მარაგების შესყიდვა	-6602700
გადამუშავების დანახარჯები	0
საბოლოო მარაგები	372686
საერთო მოგება	1133592
სხვა შემოსავალი	7286
დასაქმებულთა ანაზღაურება	-720750
ცვეთა და ამორტიზაცია	-12450
საპროცენტო შემოსავალი:	0
საპროცენტო ხარჯი :	0
იჯარის ხარჯი	-22610
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-70616
სულ საოპერაციო ხარჯები	-819140
საოპერაციო მოგება	314452
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	0
მარაგები	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0
მიღებული დივიდენდები	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	314452
მოგების გადასახადი	48424
მოგება/(ზარალი)	362876
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გ რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	362876
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	200
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივი 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	200

ფულადი სახსრების მოძრაობა	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	184893
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	184893
სავალუტო კურსის ეფექტი	7286
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	128028
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	320207

ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ

შპს „დაჩა-ჯორჯია“ ს/კ 205158434

ტელ: 577 42 82 81

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „**დაჩა-ჯორჯია**“ შეიქმნა 2006 წელს. იგი საქართველოს გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულია 2006 წლის 09 ინისიდან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმითა და საფირმო სახელწოდებით შპს „ დაჩა-ჯორჯია“, რომელსაც ამავე თარიღიდან მიენიჭა გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი **205158434**. გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო რეესტრის და სადამფუძნებლო დოკუმენტების მონაცემებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ დაჩა-ჯორჯია“-ს დამფუძნებლები არიან (50%-იანი წილით) საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი გიორგი მამულაშვილი (პირადი N01017003507) და (50%-იანი წილით) საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ირაკლი ღამბაშიძე (პირადი N1024023892). საზოგადოების დირექტორს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი მამუკა სურმანიძე. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, იონა ვაკელის #2. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა რძის პროდუქტებით, კვერცხით და საკვები ზეთებით და ცხიმებით, რომლის იმპორტსაც ახორციელებს საზვარგარეთიდან და საკუთარი საწყობიდან, რომელიც მდებრეობს ქ.თბილისი, ლორთქიფანიძი ქ. 42, ყიდის სქართველოში დილერებზე და დისტრიბუტორებზე, რომლებსაც შეაქვთ სხვადასხვა სარეალიზაციო და კვების ობიექტებში. ასევე შპს „დაჩა-ჯორჯია“-ს გააჩნია დაქირავებული რეგიონალური საწყობი, რომელიც განთავსებულია ქ. სამტრედიაში. აღნიშნული საწყობიდან ასევე დილერების და დისტრიბუტორების მეშვეობით მომარაგება ხდება დასავლეთ საქართვლოში არსებული სარეალიზაციო და კვების ობიექტები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის მიწოდებიდან აღიარდება მისი განხორციელების პერიოდულობით და იგი აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა საქართველოს

საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სსკ) მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავლიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გმომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

► მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან

► აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის" კატეგორიას მიაკუთვნებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

საწესდებო კაპიტალი

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი სადამფუძნებლო დოკუმენტებით განისაზღვრება 200 ლარის ოდენობით, რაც გათვალისწინებული იყო 2006 წელს მეწარმეთა შესახებ კანონით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები დაამტკიცა შპს „დაჩა-ჯორჯია"-ს დირექტორმა მამუკა სურმანიძემ და გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 03 დეკემბერს, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის N1455 – 28/11/2019 გამაფრთხილებელი ბრძანების მიღების შემდეგ.

შპს „დაჩა-ჯორჯია"-ს
დირექტორი
მამუკა სურმანიძე